ეროვნული თავდაცვის აკადემია
NATIONAL DEFENCE ACADEMY

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის დებულება

2025

ქ. გორი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) სტრუქტურული ერთეული -დისტანციური სწავლების ცენტრი (შემდგომში-ცენტრი) წარმოადგენს აკადემიის საგანმანათლებლო ერთეულს.
2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ცენტრის მიზანს, ამოცანებს, დისტანციური სწავლების პრინციპებს, სტრუქტურასა და ფუნქციებს.
3. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საკანონმდებლო აქტების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აკადემიის წესდების, აკადემიის მეთაურის სამართლებრივი აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.
4. ცენტრი საქმიანობას წარმართავს სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ცენტრის თანამშრომელთა განვითარების თანაბარი შესაძლებლობების პრინციპებზე დაყრდნობით.
5. ცენტრის დებულება შესასრულებლად სავალდებულოა ცენტრში დასაქმებული ყველა პირისათვის.
6. ცენტრი ანგარიშვალდებულია აკადემიის მეთაურისა და აკადემიის მეთაურის მოადგილის წინაშე.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები, ამოცანები, დისტანციური სწავლების პრინციპები და ფუნქციები

1. ცენტრის მიზანია:

თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დისტანციური სწავლების დანერგვა, განათლების ხელშეწყობა, ხარისხიანი, თანამედროვე და მოქნილი სწავლების უზრუნველყოფის საშუალებების შექმნა, რომელიც დაეფუძნება თანამედროვე ტექნოლოგიებსა და დისტანციური სწავლების პრინციპებს.

2. ცენტრის ამოცანებია:

ა) თავდაცვის ძალებისა და თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მომუშავე პერსონალისათვის უწყვეტი, ეფექტური და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დისტანციური კურსების დანერგვა, დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზება და მხარდაჭერა.

ბ) სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო პერსონალისათვის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მხარდაჭერა;

გ) ეროვნული თავდაცვის აკადემიაში დისტანციური სწავლების გამოყენების დანერგვა და სასწავლო პროცესის ელექტრონული სერვისებით მხარდაჭერა;

გ) ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) სწავლების სტანდარტებთან დაახლოვება.

დ) კომპეტენციის ფარგლებში ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება და თანამშრომლობა დისტანციური სწავლების ცენტრის მიზნებისა და ამოცანების წარმატებით განხორციელების მიზნით;

3. დისტანციური სწავლების პრინციპებია:

ა) ინოვაციურობა - დისტანციური სწავლების განხორციელებისთვის გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ორგანიზებისა და ადმინისტრირების თანამედროვე სწავლების მიდგომები და მეთოდები(ADDIE მოდელის შესაბამისი ფაზების მიხედვით). დისტანციური სწავლება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის სწავლის მართვის სისტემის გამოყენებით წარმართვას;

ბ) უწყვეტობა - დისტანციური სწავლების პროცესი მიმდინარეობს უწყვეტად და თანმიმდევრულად. დისტანციური სწავლება ხორციელდება ასინქრონული, სინქრონული ან/და შერეული კომუნიკაციის ფორმით. ასინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები ერთსა და იმავე დროს არ ახდენენ კომუნიკაციას. სინქრონული სწავლების დროს კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება, ხოლო შერეული სწავლების მეთოდი გულისხმობს ორივე, სინქრონული და ასინქრონული ფორმის სასწავლო პროცესში ერთდროულად გამოყენების შესაძლებლობას;

გ) თანასწორობა - დისტანციური სწავლება თანაბრად ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სამინისტროს სისტემაში, განურჩევლად სქესისა, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა კუთვნილებისა;

დ) გამჭვირვალობა/საჯაროობა - დისტანციური სწავლების განვითარება, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განსაზღვრულია ოფიციალური დოკუმენტაციის სახით და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის;

ე) სამართლიანობა - დისტანციური სწავლების დროს შესაბამისი კურსის ყველა მონაწილე სარგებლობს თანაბარი პირობებით. დისტანციური სწავლების დროს კურსის ყველა მონაწილის ცოდნა ფასდება ერთიანი სტანდარტით. დისტანციური სწავლება აგებულია სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ვ) ეფექტიანობა - დისტანციური სწავლების შესაძლებლობების განვითარებისთვის რესურსების დაგეგმვა და ხარჯვა ხდება ოპტიმალურად;

ზ) ეფექტურობა - მაქსიმალური შედეგის მიღწევა მინიმალური რესურსის გამოყენებით. დისტანციური სწავლება ემსახურება სამინისტროს მოსამსხურეების, ასევე სამოქალაქო სექტორიდან დაინტერესებული პირების განათლების ხელმისაწვდომობას და კვალიფიკაციის დონის ამაღლებას, ასევე სასწავლო კურსებთან და რესურსებთან მუდმივი წვდომის შესაძლებლობას, რაც ხელს შეუწყობს სამინისტროს მიზნების მიღწევას. დისტანციური სწავლება წარიმართება მუდმივი შეფასებისა და მონიტორინგის საშუალებით.

4. ცენტრის ძირითადი ფუნქციებია:

ა)საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების საჭიროებებიდან გამომდინარე დისტანციური კურსების შექმნა და შეთავაზება თავდაცვის ძალებისა და თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მომუშავე სამხედრო და სამოქალაქო პირებისთვის.

ბ) ცენტრის განვითარების ხელშეწყობა;

გ) დისტანციური სწავლების პროცესის დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება;

დ) ინოვაციური და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი დისტანციური კურსების მხარდაჭერა განახლებასა და დახვეწაში;

ე) დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგის უზრუნველყოფა;

ვ) სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად და სასწავლო კურსებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მასალების, გზამკვლევების და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

თ) დისტანციური სწავლების პოპულარიზაცია, როგორც ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, ასევე თავდაცვის ძალებში;

ი) აკადემიის მიერ ნატოს ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესის მხარდაჭერა;

კ) ნატოს სერტიფიცირებული კურსის/კურსების ადმინისტრირება.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი.
2. ცენტრის უფროსს აკადემიის მეთაურის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.
3. ცენტრის შემადგენლობაში შედის:

ა) დისტანციური სწავლების ცენტრის უფროსი;

ბ) სწავლების კოორდინატორი;

გ) სწავლების ადმინისტრატორი (ორი შტატი);

დ) სწავლების მართვის ელექტრონული სისტემის კურატორი;

ე) სასწავლო კურსების მთავარი სპეციალისტი.

მუხლი 4. გარდამავალი დებულებები

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.